ხუთშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 8 № 142
წლიწადი მეორე

ხუთშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 8 № 142
ფასი 40 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რედაქცია.**

**საგაზეთო მასალა** უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

**კანტორა.**

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч. ящикъ № 39. **ტელეფონი** № 76.

გულდათუთქული სოფიო დიმიტრის ასული გლუშაკოვისა აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 4 აგვისტოს დღით კვირას საღამოს 8 საათზე ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უძვირფასესი მეუღლე

## პროვიზორი დავით ვასილის ძე გლუშაკოვი

რომელსაც გაასვენებენ ხონს 8 აგვისტოს დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, დაკრძალვა დანიშნულია 10 აგვისტოს (ახალი სტილით) დღით შაბათს ნაშუადღევის 4 საათზე ხონის მაცხოვრის ეკლესიაზე. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, ორპირის ქუჩა. საკუთარი სახლი.

4—1

4 აგვისტოს დღით კვირას საღამოს რვა საათზე ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**პროვიზორი**

## დავით ვასილის ძე გლუშაკოვი.

რასაც მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და პატივცემულ საზოგადოებას პროვიზორები სპირიდონ გიორგის ძე ნიჟარაძე და იასონ კონსტანტინეს ძე გრიგოლაშვილი. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე. ორპირის ქუჩა, საკუთარი სახლი.

3—1

ღრმად დამწუხრებულნი ძმები მიხეილი და ვლადიმერი, რძლები ნინო და ტატიანა და დისწული ლიდა ზუბენკო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას

**პროვიზორის**

## დავით ვასილის ძე გლუშაკოვისას.

პანაშვიდი ყოველ დღეს საღამოს ექვს საათზე. ორპირის ქუჩა საკუთარი სახლი.

3—1

ღრმად დამწუხრებული სიმამრი დიმიტრი ბარქაია, სიდედრი ელენე ბარქაიასი, ქვისლები ბაგრატ იოსელიანი და მიხეილ დევიძე, ცოლის დები ლიზა იოსელიანისა, ალექსანდრა დევიძისა და ბაბულია ბარქაია აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას პროვიზორის

## დავით ვასილის ძე გლუშაკოვის

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ექვს საათზე ორპირის ქუჩა საკუთარი სახლი.

3—1

შორაპნის მაზრის საერობო საარჩევნო კომისია აუწყებს საზოგადოებას, რომ

# საერობო არჩევნები

მოხდება 25 აგვისტოს.

პარტიები და ჯგუფებივალდებულნი არიან წარმოადგინონ კანდიდატთა სიები 10 აგვისტომდე. ამომრჩეველთა სიების გადასინჯვა და შესწორება შეიძლება 24 აგვისტომდე. მაზრა დაყოფილია 5 რაიონათ. აქედან ყვირილის რაიონი ირჩევს 7 ხმოსანს ქ. ყვირილის, ხარაგოულის, ჭიათურის, საჩხერის და ჩხარის რაიონები ცხრა-ცხრა ხმოსანს. პარტიები ვალდებულნი არიან კანდიდატთა სიები თვითონ დასტამბონ.

1—1

# სია № 2

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საერობო კანდიდატებისა, ქ. ქუთაისიდან, ქუთაისის მაზრაში.**

1. **წერეთელი** ვასილი გიორგის ძე—ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, პუბლიცისტი, ექიმი, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი.
2. **ჯაფარიძე** ტრიფონ მიხეილის ძე—გაბრიელის სახელობის სასწავლებლის გამგე, პუბლიცისტი, პედაგოგი, ეთნოგრაფიული საზოგადოების ქუთ. განყოფილების თავმჯდომარე.
3. **ნაზაროვი** დიმიტრი ალექსანდრეს ძე—ექიმი, ექიმთა პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე.
4. **საყვარელიძე** ალექსანდრე სვიმონის ძე—საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, ნაფიცი ვექილი.
5. **თორაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პუბლიცისტი, პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
6. **ჩიქოვანი** ილია მანუჩარის ძე—ქუთაისის სახაზინო პალატის უფროსი.
7. **ფალავანდიშვილი** ვასილ ივანეს ძე—საგუბერნიო აგრონომი.
8. **ელიგულაშვილი** არონ იაკობის ძე—კომერსანტი.
9. **პურადაშვილი** ივანე ისაკის ძე—აზოვ-დონის კომერციულ ბანკის ქუთ. განყოფილების გამგე, დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარე.
10. **ბარათაშვილი** გრიგოლ საჩინოს ძე—ნაფიცი ვექილი.
11. **ბასილაძე** ტროფიმე ლუკას ძე—კომერსანტი.
12. **დგებუაძე** გრიგოლ შერაზის ძე—მღებავი.

# ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდათ ან უთავდებათ დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული, უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებული იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.**

ხუთშაბათს, აგვისტოს 8, საღამოს სრულ 6 საათზე, ძვ. თბილისის ქუჩაზე ი. წინამძღვარიშვილის ბინაზე, სადაც მოთავსებულია დროებით პარტიის ბიურო, დანიშნულია **სამთო უბნის** პარტიის წევრთა

# საერთო კრება

მოხსენებას წაიკითხავს ა. თორაძე: დასწრება სავალდებულოა.

## კბილის ექიმები

**მ. ი. ახვლედიანი** და **ო. დ. პროშლიაკოვა**

ღებულობენ ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 ს.—2 ს და საღამოს 5 ს.—7 ..

მისამართი: ქარვასლის ქ. მურადოვის სახლი, კლ. გიმნაზიის პირდაპირ. თვ. 31

**ექიმი**

## ზ. ა. ეზიკაშვილი

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავათმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). ს.

## სახელოსნო „ნატურმორტი“

მოდელისთვის. პირობები და სურათი გაგზავნილი უნდა იქნეს „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში მხატვარ სანელისთვის.

5—2

**ქუთაისი 8 აგვისტო.**

**ქართველობა და ორიენტაცია**

საზოგადოთ ქართველებს ერთი გლახა ჩვეულება გვაქვს: ყველაფერში, რასაც უნდა ვაკეთებდეთ, აჩქარებული ვართ. ყველაფერში ვჩქარობთ და არსად სიდინჯე არ გვეტყობა. აჩქარება ჩვენი ისტორიული თვისებაა.

საზოგადო და სახელმწიფო საქმეებში, სადაც სიდინჯე და ღრმა აზროვნებაა საჭირო, ჩვენ ვიჩენთ დილეტანტობას: უაზროთ ვქანაობთ, ვირყევით და **გარკვეული** სახე ჩვენი არსად ჩანს.

აჩქარება შეიძლება კერძო ცხოვრებაში, პირად ბედნიერების ძიებაში: ინდივიდუალურ ცხოვრებაში აჩქარებას კიდევ შეიძლება კარგი მოუნახოს მიზეზი. მაგრამ, ვიმეორებთ აჩქარება სახელმწიფო და საზოგადო საქმეებში ყოვლად შეუძლებელია.

# დ ღ ე ს.

**წერილები.**

მეთაური—ქართველობა და „ორიენტაცია“.
I.—არჩევნებისათვის.

— —

კ. ლომთაძე—დასელები და გლეხობა.
ნ. ახვლედიანი.—ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საყურადღებოთ.
კორესპონდენცია სამეგრელოდან.

**ცნობები.**

ბაქოში ოსმალებმა ბიჩერეხოვს წინადადება მისცეს რომ მორჩილება გამოაცხადოს. მონარხისტები უკრაინაში. ხალილ ფაშა თბილისში. კანონი ადმინისტრაციის შესახებ. ლენინის დეპეშები და სხვა.

## მათხოვრის ბედით

სონეტი.

ვით მათხოვარი, შორეული გადმოხვეწილი,
უბედო-ბედით გარიყული ცხოვრების გზაზე,
დაღრეჯილობა მოწყალების ლმობიერ ხმაზე,
უკმაყოფილო ნათხოვარი ხვედრი ნაწილი.
და ვით მთხოვრისა წამებაში ერთი გვაქვს წილი,
ჩემს შებრალებას არ ინდომებს არვინ არას დროს,
თუმც მავნე ძალამ ჩემს სხეულში დაიბინადროს...
— მე კი ყოველთვის მასაზრდოებს ქუჩის ქორწილი.
ჩემთან შიშობენ ყვავილები დაახლოვებას,
და გაურბიან მწყრალ თვალებით ჩემს ნაზ ვედრებას.
მე მუდმივ აწი მივიხურე ბედის ჭიშკარი,
და წმიდა გრძნობის უბინადრო, ვით ღამის ჩრდილი,
უსიყვარულოთ დამშეული, ვით მათხოვარი,
დავალ და გზაში მიდარაჯებს ავი სიკვდილი.

შ. ციბელი.

დღეს, როდესაც იწყება ჩვენი სახელმწიფოებრივი განახლება,, დღეს, როდესაც ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ, ხელახლა გამოვდივართ როგორც იურიდიულ-ისტორიულ უფლებებით მორჭმული ეროვნული ერთეული, საჭიროა ვიცოდეთ, საჭიროა შევიგნოთ, რომ ვმართებს სიდინჯე...

ჩვენ წარსულში ბევრი შეცდომა ჩავიდინეთ; რუსები და უცხოელები საქართველოში ჩამოდიოდენ დროს გასატარებლათ და ჩვენ კი მოსვენება არ გვქონდა,—სადამოების და ბანკეტების გამართვას და მოწყობას ვუნდებოდით. ჩამოვიდოდა საქართველოში მილიუკოვი ანუ როდიჩევი და ქართველი ინტელიგენცია ღვთიურ ცახცახში ირწეოდა და დნებოდა: ქართველ დობჩინსკებს და ბობჩინსკებს მოსვენება არ ჰქონდათ. ვარდებს, ლამაზ-ლამაზ ქალიშვილებს, მურაბებს და ტკბილ სასმელებს ეძებდენ ეგებ რამეთი ვასიამოვნოთ მილიუკოვ—როდიჩევებსო.

დღესაც არსებობს ჩვენში ეს მონური, წმინდა აზიური სულიერგანწყობილება. დღესაც ფიქრობენ ზოგერთები საქართველოს ამ გზით ხსნას, დღესაც არიან ჩვენში ლაქიები და პოლიტიკური ჟონგლიორები:

ხან მილიუკოვ-კერენსკებისკენ იყურებიან, ხან საქართველოს თავისუფლებას ეარშიყებიან, ხან ქვეყნის პროლეტარებს ეალერსებიან, ხან ქართველ ბურჟუაზიას.

გრძნობენ კარგად, რომ მდგომარეობა აუტანელია. გრძნობენ კარგად, რომ ერის ცხოვრება უფრო შინაარსიანი ყოფილა, ვიდრე პროგრამები, უცხოეთიდგან ჩამოტანილი, მაგრამ გვიან კი არის... ეშინიათ, რომ დაავგვიანეს: სიტყვა მათი ყალბი გამოდგა, ცხოვრება პირველი ადგილი დაუთმო **არა მათ სიტყვას.**

ის, რასაც ამბობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ასრულდა: ერის იდეამ გაიმარჯვა, საქართველო განთავისუფლდა.

სახელმწიფოებრივობამ სძლია სოციალიზმს და ანარქიზმს, მონურ და უსულო წამბაძველობას სძლია. ერის ენერგიამ და შემოქმედებამ, ისტორიის ცეცხლმა და სურვილმა.

ერმა გაიმარჯვა, „პროგრამა“ უცხოეთიდან ჩამოტანილი დამარცხდა.

დღეს განთავისუფლებული საქართველო ევროპას უერთდება—უერთდება არა იმიტომ რომ ქართული სული დაჰკარგოს და ევროპის კათეგორიები და დოგმები ძველებურად მთქნარებით ყლაპოს.—არა, საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი იდეაა ევროპის კულტურის ჩვენში შემოტანა და გაქართულება და არა ჩვენი კულტურის ევროპეიზაცია.

## არჩევნებისათვის.

საშინელია და მრისხანე დღევანდელი წუთები. გარშემო ღრმა თხრილებს გვითხრიან და არც ისე კარგ რამეს გვიმზადებს შემოსეული ყაჩაღთა ბრბოები· ხოლო, თუ მრისხანეა ქართული რესპუბლიკის გარშემორტყმული მახინჯ „ბოლშევიკთა“ ურდოები, არა ნაკლები ბოროტი სულები დაძრწიან თვით რესპუბლიკაშივე. ამ შემთხვევაში მათი მოქმედება შეთანხმებულია. ორივე შეგნებულათ, შიგნიდან და გარედან ლამობენ ნორჩი რესპუბლიკის ჩახრჩობას. და ასეთი მდგომარეობაში ძალიან ძნელია რამე სახელმწიფოებრივი სახის მუშაობის წარმოება. ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას ერობის არჩევნები იპყრობს. ძნელია იმ მდგომარეობაში, რომელშიაც დღეს ჩვენი ქვეყანა იმყოფება, როგორც ვთქვით, რაიმე ალმშენებლობითი მუშაობის წარმოება, ძნელია და ძლიერ საეჭვოა, რომ იგი ჩატარდეს ისე როგორც ამას მოითხოვს სოციალისტური ტერორისაგან გაძარცული ჩვენი სოფელი და მაზრა, მაგრამ ჩვენ ვატყობთ რომ საქართველოს ნაწილებმა ჯერ კიდევ კარგა ხანს უნდა ითმინოს ბევრ „თავისუფალ“ კომისართა მოქმედება. და ურიგდეს რღვევას მთლიან ქართული მიწისას.

ხოლო მასთან ერთად ჩვენ მაინც ვატყვით, რომ ქართველი მოქალაქის, ქართველ ხალხის მოვალეობას შეადგენს აამუშაოს მთელი თავისი ენერგია სერიოზული საქმისათვის, რომ განმტკიცებულ იქნას ჩვენს ქვეყანაში წესი, უფლება და სიმართლე, რომ მით დასამარებულ იქნას თვითნებობა, ძალადობა და ანარქია, ურომლისოთ შეუძლებელი იქნება იმ საჭირო სოციალურ კითხვათა ჯეროვანათ მოგვარება, რომელიც პირველ რიგში დააყენა ჩვენმა ცხოვრებამ.

ჩვენი სოციალისტების წარსულში მახინჯმა მოქმედებამ თვისი ნაყოფი გამოიღო. ერთს დროს ბოლშევიკებთან ერთად მყოფ (და ეხლაც არც თუ ისე დაშორებულ) ხალხის მოქმედებამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს ცეცხლის ალშია გახვეული და ჯერ კიდევ არ დასრულებულა იმ ქართველთა საფლავების თხრა, რომელთა სიჭაბუკე ამ ცეცხლის ალს ეწირება. ყოველი ქართველის, ვინც უნდა იყოს იგი, ძალა აქეთ უნდა იყოს მიმართული, რომ ეს ანარქია სამუდამოთ ჩაქრეს. და შეიძლება კიდევ დიდხანს ვიქნეთ ძმის ძმაზე გადაკიდების მოწამენი, თუ საერობო საქმეების მკეთებელთა ადგილები დაიჭირა ისეთმა ხალხმა, რომლებსაც უფრო ყაჩაღური „დელიოჟი“ აინტერესებს, ვინემ სასოფლო თუ სამაზრო საქმეების დადებითი მუშაობა და მით. საქართველოს სუვერენობისათვის განმტკიცების ხელის შეწყობა.

ჩვენ ღრმადა გვწამს, რომ სოციალისტთა ბლოკის გარშემო შემოკრებილ შტიკთა ტრიალით, უკეთუ ეს ასე გაგრძელდა, არ შეიქმნება ქართული სახელმწიფო და ჩვენი საქმიანობა არასოდეს არ იქნება დიდებითი. ამ შტიკებით მხოლოდ გაითხრება ის სამარე, რომელშიაც სამუდამოთ ჩაესვენდება ისედაც გაძარცული ჩვენი ქვეყნის ძალი და ღონე.

ერობის საქმეების წარმოება, რომელიც უნდა მოაგვაროს ჩვენში მისმა განმტკიცებამ, შეუძლია მხოლოდ სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით მოაზროვნე ხალხს. ხალხს, რომლებსაც ყველაზე უფრო აინტერესებს ქართული სახელმწიფოს, ქართული მაზრის და ქართული სოფლის ბედი და არა იმ ხალხს, რომლებსაც, გარდა იმისა, რომ ერთ დროს ცეცხლით და მახვილით ებრძოდენ ერის სუვერენობის განმტკიცების იდეას, დღესაც ვერ წარმოუდგენიათ ეს და თუ ეროვნულ საბჭოში სხედან, აზრი და გონება კიდევ დანგრეულ რუსეთისაკენ აქვთ. ქართველმა მოქალაქემ არ უნდა მისცეს ხმა იმ ხალხს, რომელმაც თავისი პირველი ნომრითა და მრგ მოქცეული დაპირებით ყველას ყური გამოუჭედა და დღეს გამოჩნდა რა მისი დაპირობების მხოლოდ დაპირებათ დარჩენა, მზად არის თავის ოდესღაც სატრფიალო პირველი ნომერი თვით ეშმაკსაც კი დაუთმოს.

არავითარი რყევა ამ შემთხვევაში!

ქართველმა მოქალაქემ გვერდი უნდა აუხვიოს სოციალისტ პარტიების წევრთა, ამ მხოლოდ მომიტინგო ხალხის სიებს და თავისი ხმა დადებით მუშაობის მწარმოებელ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრთა სიას მისცეს.

არც ერთი ხმა სოციალისტებს!

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო.

## მთავრობის მოქმედება.

— დაევალოს სასურსათო მინისტრს გამოარკვიოს ადერბეიჯანის წარმომადგენელთან მოლაპარაკებით, სურთ თუ არა აასრულონ ხელშეკრულობა შაქრის პურზე გაცვლის შესახებ და რა ვადაში შეუძლია პურის მოცემა.

აფხაზეთის საქმეთა სამინისტროს საჭიროებისათვის გაიხსნას მთავრობის სამმართველოს 10.000 მან. კრედიტი ათ მილიონის ფონდიდან, ამ ფულის გამორიცხვით ფინანსთა სამინისტროს მიერ სამმართველოს სახელდახელო ანგარიშში.

— თხოვნა სინოდის კანტორისა 65.000 მან. დამატებითი კრედიტის შესახებ—უარყოფილ იქმნას.

— გაიხსნას მთავრობის სამართველოს სახელზე 207.000 მ. კრედიტი მინისტრების და მათი ამხანაგების დასაკმაყოფილებლად ჯამაგირებით და საწარმომადგენლო ფულით ამ 1918 წლის ბოლომდე.

— მიეცეს ქართველთა შორის წერაკით. გამ. საზოგადოებას ათი მილიონის ფონდიდან 2000 მ. კიტა აბაშიძის და ვლადიმერ გობეჩიას დასაფლავებისათვის გაღებულ ხარჯების დასაფარავად.

— სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარედ, ლეონიძე თათუნაშვილის მაგივრად დაინიშნოს გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი კონსტანტინე გვარჯალაძე.

— უარი ეთქვას რუსთა ეროვნულ საბჭოს ელენოვკიდან გამოქცეულ რუს გლეხების დასასახლებლად სიღნაღის მაზრაში მიწის მიცემის შესახებ.

— გაეხსნა მთავრობის სამართველოს 1100 მ. კრედიტი ათ მილიონის ფონდიდან ჯაშუშების კომისიის ლიკვიდაციის საჭიროებისათვის.

— უყურადღებოდ იქნას დატოვებული სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირის თხოვნა სააღდგომო დახმარების და აპრილის ჯამაგირების შესახებ.

— ქ. ქუთაისის მცხოვრების გრიგოლ ხაჩატურისძე გრიგოლიანცის თხოვნა ამა 2 აგვისტოს № 1202 თარიღით დაკმაყოფილებულ იქმნას და თანახმად ამისა, ამიერიდგან ის იწოდებოდეს „გრიგოლ ხაჩატურისძე გრიგოლია.“

— თანახმად ფინანსთა მინისტრის დასკვნისა წასულ 30 ივლისის № $4471^3/_4$ თარიღით, გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს ათ მილიონის ფონდიდან 8843 მ. 80 კ. კრედიტი სახელმწიფო თეატრის მცველების და ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსამსახურეთა ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად 1919 წლის 1 იანვრამდე.

## კ ა ნ ო ნ ი.

სახალხო მილიციის და ადმინისტრაციისა.

1) სოფლად წესიერების დასაცავად ყოფილ სოფლის საზოგადოებაში დაარსდეს მუდმივი სასოფლო მილიცია ერთი სასოფლო კომისრის და ხუთი მილიციონერისგან.

2) სოფლის კომისარს ჯამაგირად დაენიშნოს სამასი (300) მან. თვიურად, ხოლო საკანცელარიო ხარჯებისათვის ოთხას ორმოცდაათი (450) მან. თვიურად და დაევალოს მას, გარდა ყოველდღიური ჩვეულებრივი საქმისა, აგრეთვე სამობილიზაციო, სამხედრო-საცხენო ბეგრის, სოფლის საზოგადოებაში სახელმწიფო გადასახადების აკრეფის და სხვა სათანადო საქმეთა წარმოება.

3) მილიციონერს მიეცეს ორას ოცი (220) მან. თვიურად.

4) სასოფლო მილიციის ზემოაღნიშნული შტატი შემოღებულ იქნეს 1918 წლ. აგვისტოს პირველიდან.

5) მილიციისათვის საჭირო თანხა ცხრა მილიონი შვიდას ოცდასამი ათას ექვსასი (9. 723. 600) მან. გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან.

შენიშვნა: სასოფლო მილიციისათვის საჭირო თანხა მიმდინარე 1918 წ. გაღებულ იქნება სახელმწიფო ხაზინიდან, ხოლო ერობის შემოღების შემდეგ, მომავალ 1919 წლ. იანვრის პირველიდან, ნაწილი ამ ხარჯისა დაევალება ერობას.

6) სოფლის საზოგადოება სოფლის კომისრის თანამდებობაზე ირჩევს ერთ კანდიდატს და წარუდგენს მაზრის კომისარს დასამტკიცებლად. განსაკუთრებულ შემთხვევაში სოფლის კომისარს დანიშნავს გუბერნიის კომისარი.

7) მაზრის კომისარს უფლება აქვს, თუ საჭიროება მოითხოვს, დროებით გადაიყვანოს მილიციონერები ერთი საზოგადოებიდან მეორე საზოგადოებაში.

8) მილიციონერებს ბინა მიეცემა სოფლის მმართველობის შენობაში.

9) სასოფლო მილიციის სამსახური არავის ანთავისუფლებს სამხედრო ბეგარისაგან.

1918 წ. აგვისტოს 2.

ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რამიშვილი.

## ხალილ-ფაშა თბილისში.

4 ივნისს ღამით თბილისში ბათომიდან სტუმრად ჩამოვიდა კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალი ხალილფაშა თავის ამალით. აქ დარჩება რამდენიმე დღე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ. ხალილ ფაშას პირადად საქართველოს დედა ქალაქში ჩამოსვლა ხელს შეუწყობს საქართველოს რესპუბლიკისა და ოსმალეთის შორის სადავო პოლიტიკური კითხვების სასურველად გადაწყვეტას და კეთილ მეზობლური დამოკიდებულების დამყარებას და განმტკიცებას მომავალში „ს. რეს".

# უცხოეთი.

## უკანასკნელი ცნობები

სტამბოლში სომეხთა დელეგაციასთან შესდგა ბიურო რომელსაც მიზნათ აქვს დასახული ტყვეობიდან გაანთავისუფლოს სომხობა. ბიუროს მეთაურობს დ. შაფხაზიანი.

ბიუროს მუშაობა უძნელდება რადგანაც ტყვეები ოსმალეთში აღწერილი არ არიან. ბიუროს დიდ დახმარებას უწევს გოლანდიის მთავრობა, ოსმალეთის მთავრობაც სერიოზულად ეპყრობა ამ საკითხს.

— სტამბოლიდან მიღებული ცნობების თანახმად სპარსეთში შესდგა კოსტფი ხელ-მუმალიკეს მეთაურობით შესდგა სპარსეთის მთავრობა. შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია სამსონ-ეს-სალტანიე.

— ივნისის უკანასკნელ რიცხვებში კოპენგაგენში შესდგა სკანდინავიის მხარის მინისტრთა კონფერენცია, რომელზედაც განიხილეს სამივე სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. კონფერენციის წევრები მიიღო დანიის მეფემ.

## ბაქო.

### უკანასკნელი ცნობები.

განჯიდან მიღებული ცნობების თანახმად ოსმალთა ჯარმა უკვე დაიკავა ნავთის სამრეწველოები და ქალაქის მაღლობი ადგილები. ორი დღის განმავლობაში ქალაქში ომი გრძელდებოდა. ბიჩერეხოვი ოსმალთა ჯარს დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ოსმალეთის მთავრობამ ბიჩერეხოვს ულტიმატუმი წარუდგინა რომ თავისი ნებით დანებდეს. ბალაჯარისა და თბილისს შუა რკინის გზის მოძრაობა ამ დღეებში ისჯება.

## რუსეთი.

### მოკავშირეთა კონფერენცია.

პეტროგრადის დიპლომატიურმა წრეებმა ცნობა მიიღეს, რომ მოკავშირეთა კონფერენცია, რომელიც უნდა მომხდარიყო მიმდინარე თვის ბოლო რიცხვებში ვაშინგტონში, დროებით გადაიდო. კონფერენციის გადადების მიზეზად ასახელებენ იაპონიის და შეერთებული შტატების მდგომარეობის გამწვავებას.

## უკრაინა.

### მონარხისტები კიევში.

„კიევსკაია მისლი" იტყობინება, რომ ნოვოჩერკასკში როძიანკოს თავმჯდომარეობით შესდგა ცნობილი საზოგადო მოღვაწეების კრება. კრებაზე განაცხადეს, რომ რუსეთის დახსნა და მისი აღდგენა წინანდელ საზღვრებში მხოლოდ მონარხიის საშვალებით შეიძლებაო.

გაზ. „უკანასკნელი ცნობა" იუწყება, რომ კიევში უკანასკნელ დღეებში მოხდა მონარხისტთა თათბირი, რომელნიც მოვიდენ მოსკოვიდან, პეტროგრადიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდან.

ხუთშაბათს, 8 აგვისტოს, ცირკის დარბაზში

დღეს ცნობილი ემიგრანტი და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის საზღვარ გარედ მებრძოლ კომიტეტის თავმჯდომარე

# პეტრე სურგულაძე

წაიკითხავს ლექციას

„დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა."

ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთში" ისიდორე კვიცარიძესთან. დაწვრილებით აფიშებში.

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე. 2—2

# სალამი მამულიშვილთ!



პეტრე სურგულაძე.



მიხაკო წერეთელი.



გიორგი მაჩაბელი

დღეს ქუთაისს ეწვევა ქართველი ერის ღირსეული შვილი პეტრე სურგულაძე. ვინც ოდნავ თვალყურს ადევნებდა საქართველოს განთავისუფლებისთვის ბრძოლას, ის გვერდს ვერ აუვლის ისეთ თავდადებულ ქართველს, როგორიც არის პეტრე სურგულაძე.

პეტრე სურგულაძემ მოღვაწეობა დაიწყო თბილისში, სადაც მასწავლებლობდა ქართულ გიმნაზიაში. 1902 წლებში ხელმძღვანელობდა ჟურნალ „კვალს".

1903 წელს მან გამოსცა წიგნაკი „ეროვნული ენა". 1910-ში დაარსა საკუთარი ჟურნალი „ერი", სადაც თავგამოდებით იცავდა საქართველოს განთავისუფლების საკითხს.

ეს ჟურნალი „ჩეხელთა ეროვნულ მოძრაობაზე" მოთავსებულ წერილის გამო მართველობამ დახურა და პეტრეს ერთი წლის ციხე მიუსაჯეს. მაგრამ მთავრობის გადაწყვეტილება ვერ ასრულდა. პეტრე საზღვარ გარეთ გაიქცა. პირველად ის ცხოვრებდა ოსმალეთში. ბოლო ხანებში კი გერმანიაში, სადაც დაარსა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი კომიტეტი, რომელშიც შედის საქართველოს ამაყი შვილი მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი და სხვ.

აუსრულდა პეტრეს ნატვრა, საქართველო განთავისუფლდა და ღირსეული შვილიც მშობელ მხარეს დაუბრუნდა.

დღეს პეტრე ქუთაისში ლექციას კითხულობს.

სალამი საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთ პეტრე სურგულაძეს, მიხაკო წერეთელს და გიორგი მაჩაბელს.

## ლენინის დეპეშები.

მიღებულია მოსკოვის რადიო სადგურიდან **მოსკოვიდან-ტაშკენტში**. საბჭოთა მთავრობას. გთხოვთ შემატყობინოთ ფრონტის მდგომარეობა. მოსკოვიდან გამოვგზავნე 2000 წითელ გვარდიელი და ათი ჯავშნიანი მატარებელი.

ლ ე ნ ი ნ ი.

**ბაქოში.** შემატყობინეთ ბაქოს მდგომარეობა. სად და რამდენ მანძილზე იმყოფებიან ოსმალები. საჭიროა დახმარება თუ არა. გამოგზავნილია 1000 წითელ გვარდიელი და 5 ჯავშნიანი ავტომობილი. მოსკოვში ხმები დადის, რომ ბაქო ოსმალებმა აიღესო.

ლენინი.

# ახალი ამბავი

## ქ უ თ ა ი ს ი.

**პარტიული კრება.** შაბათს, 10 აგვისტოს საღამოს 7 საათზე წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა საერთო კრება, მოხსენებას მომენტისა და საერობო არჩევნების შესახებ წაიკითხავს ეროვნული საბჭოს წევრი ვასილ წერეთელი. პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

✦ **პეტრე სურგულაძის ლექცია.** დღეს, 8 აგვისტოს ქუთაისის ცირკის დარბაზში პეტრე სურგულაძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა. ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი.

✦ **კურსების დასრულება.** დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის მიერ მოწყობილი კურსები 7 აგვისტოს უკვე დასრულდა.

✦ **საერობო არჩევნები შორაპნის მაზრაში.** შორაპნის მაზრაში საერობო არჩევნები 25 აგვისტოს მოხდება. პოლიტიკურმა პარტიებმა ხმოსანთა კანდიდატების სიები 10 აგვისტომდის უნდა წარადგინონ. ამომრჩეველთა სიების შესწორება კი 24 აგვისტომდის შეიძლება. მაზრა დაყოფილია 5 რაიონად. ყვირილის რაიონები ირჩევს 5 ხმოსანს, ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის და ჩრდილოეთის რაიონები კი ცხრა-ცხრა ხმოსანს. პარტიებმა კანდიდატთა სიები თვითონ უნდა დასტამბონ.

✦ **ხრესილი.** (დეპეში) ლეჩხუმის რაიონში 5 აგვისტოს მოწინააღმდეგეთა შემოტევა მარცხით დამთავრდა. საღამოთი დადგა სრული სიწყნარე. ტყვეობიდან გამოიქცა ერთი ჯარის კაცი, რომელსაც პირადათ საუბ-რი ჰქონია მორჩაძესთან.

**ივქოვი.**

✦ **ჩვენი გაზეთი** 6 აგვისტოს უქმის გამო არ გამოსულა.

✦ **ლექცია.** დასავლეთ საქართველოს სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის დავალებით ამ მოკლე ხანში ტრიფონ ჯაფარიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა".

✦ სახალხო **მასწავლებელთა კურსები.** 5 აგვისტოს ქუთაისში გაიხსნა სახალხო მასწავლებლების კურსები. კურსები გახსნა მიხ. გავაშელმა. ამ დღესვე ტრ. ჯაფარიძემ წაიკითხა ლექცია „გაეროვნებული სკოლა და სახალხო მასწავლებელთა დანიშნულება." დანარჩენი ლექციების კითხვას სისტემატიურად განაგრძობენ.

## პარტიული ცხოვრება.

შაბათს, აგვისტოს 4-ს წმ. ნინოს სასწავლებლის დარბაზში გაიმართა საქ. ერ. დემ. პარ. წევრთა საერთო კრება. მოხსენება წაიკითხა ბ. **ტრიფონ ჯაფარიძემ**. მან დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ მიმდინარე პოლიტიკური მომენტი და აუხსნა მომავალი ერობის მნიშვნელობა.

საგუბერნიო **კომიტეტის თავმჯდომარემ** ბ-მა **ალექსანდრე თორაძემ** ლამაზის და მოხდენილს საუბრით მიიქცია დამსწრეთა ყურადღება რომელმაც დიდის დაკვირვებით დაასურათა დღევანდელი საქართველოს მდგომარეობა და შემდეგ ისაუბრა სხვადასხვა პარტიულ კითხვებზე.

## დასელები და გლეხობა.

ჩვენი სოციალ-დემოკრატები მუდამ დღე გაიძახიან საქართველოს მცხოვრებთა დიდი უმეტესობა (ასში ოთხმოცდაათი) მხარს ჩვენ გვიჭერსო.

ნეტავი თუ მართლა სჯერათ?

ამაზე რიხიანად და თავმომწონედ გეტყვიან: მიბძანდით, ხმები დაითვალეთ და ნახავთ, რომ ეს ფაქტიაო. თუ ყუთში ჩაყრილი კონვერტებს დაითვლით, მართლაც აღმოჩნდება, რომ პირველი ნომერი უფრო მეტია, მაგრამ, ეს მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატების მოხერხებას მოწმობს და არა იმას, რომ ჩვენი ხალხი, კერძო საკუთრების მოტრფიალე, ამ საკუთრების დაუძინებელ მტერს, სოც.-დემოკრატიას, უცხადებს ნდობას. ჩვენი ხალხის უმეტესობა რომ სოც.-დემოკრატიული იყოს, მაშინ ვიტყოდით: გადაუბრუნდა ქვეყანას თვალი, გონება, ყურიო.

რადგან, მაინც და მაინც, მათ მიერ მოჰახრაკებულ ფაქტებზე გვითითებენ, ჩვენ ვეტყვით გადაჭრით ჰეგელის სიტყვებს: „მით უარესი ფაქტებისთვის".

ჩვენ ძლიერ კარგად ვიცით, რომ თვით სოც.-დემ. მამათ მთავარნი მარქსი და ენგელსი და იმათ მიმდევარნი, ბებელი, კაუტსკი. პლეხანოვი და ჩვენი ნოე ჟორდანიაც, გადაჭრით ამბობენ, რომ გლეხი მესაკუთრე მიწის მუშა, სოც.-დემოკრატიის მოწინააღმდეგეაო, მათ შორის წინააღმდეგობა და მტრობა არსებობსო. ერთი რუსი სოც.-დემოკრატი, (დერევენსკი) იქამდეც კი მივიდა, რომ სთქვა. გლეხი პროლეტარიატს ისე ჰგავს' როგორც ბაყაყი პანაშვიდსო. თვით ისიც

კარგად უნდა ვიცოდეთ, როგორც ნოე ჟორდანიამაც დასწერა,—რომ გამარჯვების შემდეგ (იგულისხმება ძველ მთავრობაზე გამარჯვება) სოც.-დემოკრატიამ ბრძოლა უნდა გამოუცხადოს დემოკრატიას, იმას ვინც ამ გამარჯვებამდე მასთან ერთად იბრძოდა.

ყველა ამის შემდეგ ვკითხოთ; შეიძლება, რომ ჩვენი ქვეყანა, სადაც პროლეტარის ჭაჭანებაც კი არსად არის პროლეტარიატის გზას დაადგეს!?

არა და ათასჯერ არა!

ეს ისე არ შეიძლება, როგორც იალბუზის წვერზე ლიმონი და დაფნა ვერ გაიხარებს!

მაშ, როგორ გაჰყვა ჩვენი ხალხი სოც. დემოკრატიას?

მოგახსენებთ.

მხოლოდ ისევ სოც.-დემოკრატიას, ისევ ნოე ჟორდანიას ვიმოწმებ. უმჯობესია ამ შემთხვევაში, რომ უნტერ ოფიცრის ცოლმა თავის თავი თვითონ გაროზგოს. ნოე ჟორდანია ერთ თავის წიგნაკში ბრძანებს. ჩვენ პარტიაშიო, სოც.-დემოკრატიულ პარტიაში, შემოსული ინტელიგენტი (ნასწავლი) ყმაწვილები სოციალისტები კი არა ბურჟუები არიან, მხოლოდ გენერლობის მაძიებელი ბურჟუებიო. გენერალს რომ ჯიბე სქელი აქვსო და მედიდურად დაიარება ქუჩებში, ეს ყველამ ვიცით. უნდა ვიცოდეთ, რომ როცა გენერალი ან გენერლობის მაძიებელი პირი ცხარე სიტყვებით გვიქადავს ყურებს „ბურჟუების“ მიერ მშრომელი ხალხის გაყვლეფაზე და აჯანყებს ხალხს ეს სიყალბეა და სხვა არაფერი.

მართლაც სიყალბის და სიცრუის გზას დაადგა სოც.-დემოკრატია იმ თავითვე და ჯერ ამით გაიტანა ლელო, მაგრამ ვნახოთ შემდეგ.

ბრესლავის ყრილობაზე სოც. დემოკრ. აღიარა, რომ დაცვა გლეხობის ინტერესებისა პარტიის მიერ სხვა არა არის რა, თუ არა „მეტყვილება“ პარტიაში გლეხობისა, რომელიც, როგორც ზევით ვსთქვით მტერია სოც.-დემოკრატიისა. მოგვყავს ეს ადგილი ორიგინალიდან რუსულად предпринятая партіей защиты крестьянскихъ интересовъ является ничѣмъ инымъ, какъ замониваніемъ крестьянства, остоющагося, какъ и прежде врагомъ „соціал демократіи“ (Конштедтъ Аграрный вопросъ и соціал-демократія Кіевъ 1906 г., 211).

ჩვენში როგორ ხდებოდა ეს „მეტყვილება“? გლეხებს უუბნებოდენ: თქვენ მიწა წყალს სრულებითაც არ შევეხებით ოღონდ მხარი დაგვიჭირეთ და დიდ მემამულეებს ადგილებს წავართმევთ და თქვენ მოგცემთო.

სადღა გაქრა თქვენი სოციალისტობა სოც.-დემოკრატებო? სადღა გაჰქრა თქვენი დეკლარაცია გასული 1917 წ. „ერთობის“ 177 ნომერში, რომ იყო გამოქვეყნებული, სადაც ნათლად და აშკარად ბრძანებთ, რომ იბრძვით ისეთი წესწყობილების დასამყარებლად, რომლის დროსაც ყოველივე შემოსავლიანი ქონება, ყოველივე, ხაზ გასმით მოგახსენებთ, უკლებლად საერთო სამფლობელოდ უნდა გადიქცეს და, რასაკვირველია კერძო საკუთრება უნდა მოისპოს სრულიად.

აღარ გახსოვთ, რა ცილს სწამებდით ბატონებო, დღეს, რომ დამფუძნებელი—ხართ, აი, იმ ფედერალისტებს, ვითომ ისინი ბატონ-ყმობის შემოღებისთვის იღვწოდენ?

რა უშვერის პირით ლანძღავდით ეროვნულ დემოკრატებს, და ამბობდით ვითომ ესენი თავად აზნაურობის და საზოგადოთ მდიდრების მომხრენი იყვნენ?

დიახ, ბატონებო!

თქვენ „გაიმარჯვეთ“ 1) დემაგოგობით თქვენი ვინაობის ხელოვნურად დამალვით. 2) მოწინააღმდეგე პარტიების ხალხის მტრებად მონათვლით.

ვ. ლომთაძე.

## ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საყურადღებოთ.

ყველასათვის აქსიომა უნდა იქნეს, რომ ყოველ დარგში ნაციონალიზაცია აუცილებელი საჭიროა და როგორც ასეთი მრეწველობის დარგშიაც უნდა მოხდეს. ჭიათურის შავი ქვის ნაციონალიზაცია, ეს მომავალი ქართველი ერის ეკონომიური სიძლიერეა, ვინაიდან ამ მადანს ყველა სახელმწიფოები იცნობენ და ამის ნაყოფით ყველამ იგემა ასე რომ, ცენტრი ჩვენი მრეწველობისა არის ჭიათურა და ამისთვის საქართველოს მთავრობა ჯეროვან ყურადღებას უნდა აქცევდეს მას, და მის ახალგაზდა ექსპლოატატორებს, ქართველ მრეწველებს. თუ ჩვენი, ბედნიერება სწადია საქართველოს მთავრობას მან უსმინოს ჩვენი მრეწველის მაჯის ცემას და მათი ტკივილები უნდა მოაშუშოს და არა იმოქმედოს ისე, როგორც ეს სჩვევია სოციალურ ექსპერიმენტებს.

ამნაირად, ნაციონალიზაციის საკითხი თუ კარგათ გადაიჭრა მრეწველობის დარგში, მაშინ ეს დაკანონება შეიქნება პრეცედენტი სხვა დარგის მრეწველობისა, და საქართველო შეიქნება იმდენად ძლიერი ეკონომიურათ რამდენათ ჩვენი მთავრობა თავის ერის ეკონომიურ აღორძინებაზე იფიქრებს როგორც წინა წერილში გაკვრით აღვნიშნე *) ჩვენი მრეწველები კარგ და სწორ გზას ადგიან, მომხრე არიან ნაციონალიზაციის, მხოლოდ რაც შეეხება ცხოვრებაში მის გატარებას ეს შეიძლება სხვა და სხვა გზით. შავი ქვა ჩვენმა მთავრობამ უნდა გამოიყენოს თავის მაღაროებით, ზედ აღმოცენებულ მანქანებით და ტეხნიკურ გამოჯობესებით; შემდეგ როდესაც საქართველოს მთავრობა დაიპატრონებს, გასცეს კონცესიის წესით. კონცესიის საშუალობით ახლად გაშენებული სახელმწიფო არ აშენდება, მაგრამ ნასწავლების და სპეციალურათ აღზრდილ ძალებს მოკლებულნი ვართ და ყოველივე ასეთი დაბრკოლებანი გვაიძულებს ხელი მივყოთ კონცესიას. კონცესიის საშუალებით უნდა მოხდეს შავი ქვის ექსპლოატაცია მომავალში და ამისათვის საჭიროა რომ ჩვენი მრეწველები ეხლავე შეკავშირდენ, და შეერთებული ძალით გამოვიდენ საქართველოს მრეწველობის ასპარეზზე. მთლიან ძალას, არამც თუ შინაურები, უცხოელებიც კი სათანადო ანგარიშს გაუწევენ.

ყველა ის კონცესიები რომელთა გაცემას მთავრობა დაპირებს ქართველობა აიღებს და ამრიგად ეროვნული კაპიტალი გაძლიერდება, ისიც შესაძლოა, რომ ჩვენმა ნორჩმა მრეწველებმა და კაპიტალმა ვერ შესძლოს ეხლავე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქარხნების გაშენება ასეთ შემთხვევაში მიეცემა უცხოელებს მხოლოდ ათი წლის ვადით. შეიძლება ეს ვადა ძალიან ცოტათ მიიჩნიონ ევროპიელებმა ვინაიდგან მათ არ სჩვევიათ ასე მოკლე ვადიანი კონცესია, მაგრამ ჩვენ რომ დღეიდან გავსცეთ ჩვენი მადნეულობა 21,35,5099,999 წლებით როგორც ეს ევროპაშია, კონცესია ჩვენ წაგვართმევს ყოველივე სიმდიდრეს და ბოლოს ეკონომიურად გაკოტრებულნი და დაუძლურებული დავრჩებით. ზემოთ აღნიშნულ მიზეზების გამო მრეწველების კრება რომელიც უნდა შესდგეს ახლო მომავალში უნდა მოითხოვოს ათი წლიანი კონცესიის შემოღება და ამით არ უნდა მისცენ ნება უცხოელებს ჩვენი გაყვლეფისა. თუ ათ წლიანი კონცესია დამკვიდრდა, და დაკანონდა, მაშინ უცხოელებიც შეიქმნებიან შავი ქვის ექსპლოატატორებათ და პირველ კონცესიის ვადის გათავებამდის საქართველოც გამოზრდის თავის სპეციალისტს—ინჟინრებს. მომავალში, ე. ი. პირველი კონცესიის გათავების შემდეგ საქართველოს იმედი ექნება, რომ თავიანთი სიმდიდრის პატრონნი შეიქმნენ თვით ქართველები და არა უცხოელები, როგორც ეს დღემდის იყო. მაშინ მოხდება ჩვენში ნედლი მასალის დამუშავება და გამზადებულ სახით ამა თუ იმ მადნისა გაგზავნება მათ, ვინც კი ჩვენში იქნება მიწის მყიდველი.

თუ ჩვენი ნედლი მასალა გაიგზავნა საზღვარ გარედ, და გადამუშავებული ჩვენ უკანვე დაგვიბრუნდა, მაშინ ჩვენ მოგვიხდება მიცემულ ფულის ნედლ მასალაში უკან დაბრუნება და ამით დაიწყება ჩვენი სახელმწიფოს გაკოტრება. ინგლისში და გერმანეთში, სადაც ვაჭრობა მრეწველობა განვითარებულია კულმინაციონურ წერტილამდე, არ ყოფილა შემთხვევა, რომ რაიმე ნედლი საქონელი საზღვარ გარედ გატანილიყოს; ამიტომაა, რომ ინგლისის საგარეო ვაჭრული ჯამი (ბალანსი) ყოველთვის დიდ მოგებას აძლევს და არა წაგებას, როგორც ეს სჩვევია რუსეთს საიდანაც ნედლი საქონლის გაზიდვის მეტს არას ფიქრობდა. გერმანიას და ინგლისს ამ დარგში თითქმის ყველა სახელმწიფოები ჰყავდათ დამონებული და რაც კი არ უნდა ყოფილიყო ყოველივეს თავის ქვეყნებისაკენ ზიდავდენ. ამით ეს ორი სახელმწიფო შეიქნა ეკონომიურათ ძლიერი და როდესაც შინაური სიმდიდრე შემოელიათ კოლონიების ძებნა დაიწყეს.

ასეთი ბედი მოელის უცხო სახელმწიფოებიდან საქართველოსაც თუ კი ფრთხილად და მარჯვეთ არ შეხვდა ვინც არ უნდა იქნეს იგი. როდესაც მრეწველების ბუდე—წრე შეიქმნება, მაშინ ადვილი შესაძლებელია ტოლმა—ტოლი მოძებნოს ე. ი. წრე წრეს მიემატოს და შეიქმნეს სინდიკატები, შემდეგ ტრესტები, უკანასკნელი კი გენერალურ ტრესტათ, რომელიც იქნება მრეწველობის უფროსი მეთვალყურე და რომელიც შეეცდება თავის ფარგლის გაფართოვებას და გადატანას ყოველ დარგის მრეწველობაში. ამნაირად, ძაფი ვაჭრობის და მრეწველობის განვითარებისა ჩვენს ხელშია და შევეცადოთ რომ ხელიდან არ გაუშვათ ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ ყველა მრეწველების და ვაჭრობის კრების გადაწყვეტილებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ვაჭარ მრეწველებმა კი, თავიანთი მოქმედება ასჯერ აწონონ და და ერთჯერ გადაჭრან, თუ კი სურთ და სწადიათ თავიანთი მრეწველობის გაძლიერება და სამშობლოს სიყვარული.

ნიკ. აზგლედიანი.

*) იხილეთ „ჩვენი ქვეყანის“ № 141.

## გორდის „საბჭოთა მთავრობა“.

ამ უკანასკნელ თვეებში როგორც ზუგდიდის ისე სენაკის მაზრაშიაც დიდი აჯანყება ხდება. თავგასული ყაჩაღთა ბრბოს თარეშს ნავაზავასა და კინჩხის საზოგადოებაში საზღვარი არა აქვს. ექვსი თვის განმავლობაში მათ წინაამდეგ მთავრობას არავითარი ზომები არ მიუღია ადგილობრივი ხალხი ბრბოთა გამოსვლებს თანაგრძნობას უცხადებს. „მენშევიკთა“ პროპაგანდისტებმა რევოლუციის დაწყების პირველ ნახევარში, გლეხობა ლამაზი სიტყვებით მოხიბლეს და სამოთხესაც კი ჰპირდებოდენ ოღონდ პირველი ნომრისთვის მიეცათ ხმა. როდესაც ქვეყნის მართველათ გადიქცენ,—თავიანთი სიტყვა უკანვე დაიბრუნეს.

მენშევიკებიდან მოტყუებული ხალხი შემდეგ მიემხრო მათ, ვინც ვითომც მათ ინტერესებს იცავს ე. ი. ბოლშევიკებს. ამას ხელს უწყობდა მარტში ასკურავასა და კორძაიას სოციალისტურ ჯარით ნაოლოლევის, ნაქალაქევის, ზანძის, სალხინოს და სხვების აღება. ამას ხელს უწყობდა, ამ ადგილიდან ბოლშევიკთა ბანდის მეთაურად სხვა ადგილებში დაჭერა ადამიას ჭოლოკავას ხელმძღვანელობით. ხელს უწყობდა აგრეთვე სამი გეგეჭკორიასა და ქავჭანიძის განსაკუთრებულ ბოლშევიკურ რაზმით შემოსვლა. ეხლა იქ ბოლშევიკურ ბანდის სარდლად არჩეულია ხაჟომია, რომელსაც კვერცხისა და ქათმის ქურდობისათვის თვრამეტი წლის კატორგა ჰქონდა მისჯილი.

ამ ზემოხსენებულმა პირებმა თავიანთ გაბოლშევიკებულ გახრწნილი ჯარის კაცთაგან გორდისა და კინჩხის რაიონში შემოსვლისთანავე აირჩიეს გლეხთა და ჯარის კაცთა წარმომადგენლები და ამით დაარსეს ერთგვარი სახალხო საბჭო და ცენტრად აღიარეს გორდი. საბჭოს თავმჯდომარედ პირველად ყოფილი ჯარის კაცი [illegible] შაგუნავა აირჩიეს (რომელიც ეხლა დატყვევებულია.)

ბანდის ხელმძღვანელად აირჩიეს ცნობილი ყაჩაღები როგორიც არიან ადამია ჭოლოკავა და აგრეთვე პრაპ. ქავჭანიძე. პროპაგანდას პირველად ასკურავა, გამისონია ჭოლოკავა და წარსულ თვეებში კი სამი გეგეჭკორი ეწეოდა. მთავრობამ ისინი მხოლოდ ადგილობრივი დაბებიდან გარეკა. კინჩხისა და ადგილობრივი საზოგადოების სოფლებში მთავრობამ მათ ვერაფერი ვერ მოუხერხა თუ გინდ ავიღოთ მთავრობის რაზმის მოქმედება. გაჭედილზე, საჩიქოვანო მთაზე, გორდის მახლობელ გორებზე, და წარსულ კვირაში ბუმბუაშვილის ხიდზე, ბანდა ყოველთვის გამარჯვებული დარჩა. მთავრობის მცირე რიცხოვანი რაზმი მათ ვერ გაუმკლავდა და ბუმბუაშვილის ხიდზე ხონისკენ უკან დაიხია, მათ რამოდენიმე კაცი დაუჭრეს, დაატოვებინეს ტყვიის მფრქვეველი „სამზარეულო სასურსათო, რამოდენიმე ვინტოვკა და აუარებელი ტყვია. ეს შეტაკება გახდა 28 ივლისს, ამ ბრძოლის შემდეგ ბოლშევიკების ბრბოების წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიუღიათ. ისინი თავისუფლად თარეშობენ, ატყვევებენ გორდის რაიონში ჩიქოვანებს, ჩიხლაძეებს და სხვებს.

დატყვევებულნი შტაბში მიჰყავთ და რის შემდეგ აღარ უშვებენ. მათი შტაბი მოთავსებულია სამეგრელოს ყოფილ მთავრის სასახლეში შტაბის განკარგულებით ბუმბუაშვილის ხიდთან შეაგროვეს 150 წყვილი წული. რეკვიზიცია უყვეს აგრეთვე ყოველივე საოჯახო ნივთებს.

ჩიქოვანების ჩიხლაძეების, მიქაუტაძეების, დგებუაძეების, კიკალიშვილების და სხვების ოჯახებში არავითარი ნივთები არ უტოვებიათ! წაიღეს ბალიშები მუთაქებიც კი. ყველაფერი გორდში წაიღეს. საუკეთესო ნივთები თვითონ დაიტოვეს, დანარჩენი კი გლეხებს დაურიგეს. ასეთი საქციელი განიმეორეს სოფელ სუხჩეში და ხუნწში. ს. ხუნწში გაძარცვეს კირთაძის, გრიშა ჩიქოვანის გახოკიძის და სხვების ოჯახები.

მკვლელობაც ხშირი მოვლენაა.

გორდის საბჭოთა მთავრობას მჭიდრო კავშირი აქვს ლეჩხუმისა და ზუგდიდის მეამბოხეებთან. ბრბოებმა დაალიერეს კოოპერატიული სავაჭროები.

ვინც თვალში არ მოსდით მიწასთან ასწორებენ.

როდესაც ნივთებს იტაცებენ ოჯახებისა და სავაჭროების პატრონებს ეუბნებიან: „თქვენ შეადგინეთ სია და ფასი წაღებული ნივთებისა და პასუხის მგებელი შტაბიაო.“

„საბჭოთა მთავრობამ“ ახალგაზდების მობილიზაციაც მოახდინა შეკრიბეს რამდენიმე ასეული ახალგაზდა ყმაწვილი და ჯარში გაიწვიეს.

ასეთი ანარქიაა გამეფებული ხსენებულ რაიონში და ჯერ ამ ანარქიის ჩასაქრობლად გადამწყვეტი ნაბიჯი არ გადადგმულა.

საჭიროა მთავრობამ დროზე მოახდინოს ძალთა მობილიზაცია და „გორდის საბჭოთა მთავრობა“ ბუდიანად აღმოფხვრას.

გიგ. ჭუჭუშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

**განცხადება.** გიმნაზიის კურს დამთავრებული გერმანეთში გამოცდილი მასწავლებელი ქალი აძლევს გერმანული ენის გაკვეთილებს. თანახმაა გაკვეთილები მისცეს თუ მას მისცემენ ოთახს სადილით. მსურველებმა მისამართი უნდა დასტოვონ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში, ეკატერინე რევაზის სახლზე. 3—3

სწრაფმბეჭდავი სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში.